

გვჭირდება თუ არა ფინანსური კოეფიციენტების გამოთვლა და შეფასება აუდიტში?

ბელა ჩაღუნელი
სტუ-ს დოქტორანტი

აუდიტში ფინანსური კოეფიციენტები აუცილებლად გვჭირდება. იგი გვჭირდება როგორც აუდიტის დაგეგმვის სტადიაზე, ისე აუდიტორული მტკიცებულებების შეკრების პროცესში. ამ კოეფიციენტების გამოთვლითა და შეფასებით შეიძლება დავადგინოთ, რომელი ანგარიშები შეიძლება იყოს მცდარი და აუდიტის რომელ სეგმენტში უნდა იყოს მიმართული დამატებითი რესურსები და ძალისხმევა.

ამისათვის მარტო ამ კოეფიციენტების გამოთვლის ცოდნა არ არის საკმარისი. საჭიროა მათი შეფასების ცოდნაც. გამოთვლილი მაჩვენებელი წინა პერიოდის ან სხვა, საუკეთესო კომპანიის ანალოგიურ მაჩვენებელს (ან ნორმატივებს, თუ ასეთი არსებობს) უნდა შევადაროთ და მომხდარი ცვლილებები შევაფასოთ.

ცვლილება ან პოზიტიური იქნება, ან ნეგატიური. აუდიტორმა, რომელიც ამ შემთხვევაში ანალიზით არის დაკავებული, ესეც უნდა გაარკვიოს და მისი გამომწვევი მიზეზიც.

ფინანსური კოეფიციენტების პოზიტიური ან ნეგატიური ცვლილების მიზეზი შეიძლება კომპანიის რეალური მუშაობით იყოს გამოწვეული ან შემთხვევითი მოვლენა იყოს. მაგალითად, თუ ზამთრის პერიოდში სამშენებლო კომპანიაში მატერიალური მასალების ბრუნვალობა შემცირდა, ამას გამოიწვევდა ზამთრის სეზონი, რომლის დროსაც რთული კლიმატური პირობების გამო, მშენებლობის ტემპი ან ჩერდება ან მცირდება. ანდა, თუ ახლადგახსნილ საკონსერვო კომპანიაში ზაფხულ-შემოდგომის პერიოდში სწრაფი ლიკვიდობა შემცირდა, ესეც სეზონური ხილ-ბოსტნეულის დიდი მარაგების შექმნით იქნება გამოწვეული (მარაგები ამცირებს მოკლევადიან აქტივებს. ამ უკანასკნელის შეფარდება მოკლევადიან პასივებთან კი გვაძლევს სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტს).

ამრიგად, ფინანსური კოეფიციენტების ცვლილება ხშირია და შეიძლება შემთხვევითი ფაქტორებით (წარმოების სპეციფიკა, ანგარიშსწორების სპეციფიკა და ა. შ.) იყოს გამოწვეული. კომპანიისთვის ეს იმდენად საშიში არ არის.

სისტემად ქცეული მიზეზები კი, არათუ დამაფიქრებელი, არამედ დამანგრეველია კომპანიებისთვის. ამიტომ აუდიტორმა უნდა გამოიკვლიოს მათი წარმოშობის მიზეზები, ცვლილების ხარისხი და დასახოს ღონისძიებები მათ აღმოსაფხვრელად.

პირობითი (ჰიპოტეტური) კომპანიის მაგალითზე გავაკეთებთ ზოგიერთ კომენტარს და ინტერპრეტაციას ჩვენს მიერ გამოთვლილ ფინანსურ კოეფიციენტებზე. ამოსავალი ინფორმაცია მოცემულია ცხრილებში 1 და 2.

ვიდრე „ლურჯი მარკეტის“ მაგალითზე ფინანსური კოეფიციენტების გამოთვლას და შეფასებას დავიწყებთ, უნდა გვახსოვდეს, რომ 5 კითხვას უნდა გავცეთ პასუხი [1, გვ. 12]:

1. რამ გამოიწვია ცვლილება?
2. ცვლილება რეალურია თუ შემთხვევითი?
3. როგორ შევამოწმოთ ჩვენი დასკვნა ცვლილების შესახებ?
4. რას ნიშნავს ამგვარი ცვლილება?
5. შედეგი შესაბამისობაშია თუ არა მოპოვებულ სხვა ინფორმაციასთან?

ფინანსური კოეფიციენტები მეტად მრავალნაირია. საანალიზოდ აღებული „ლურჯი მარკეტის“ პროფილიდან გამომდინარე, ჩვენ შესაფასებლად ავირჩიეთ 3 ჯგუფის ფინანსური კოეფიციენტები, კერძოდ:

- მომგებიანობის (რენტაბელობის).
- ლიკვიდობის.
- რისკის.

მომგებიანობის კოეფიციენტების ჯგუფიდან ვიანგარიშეთ საერთო მოგების მარჟა და წმინდა მოგების მარჟა. მათი მნიშვნელობები ასეთია:

საერთო მოგების მარჟა	
2011 წ.	2012 წ.
$\frac{3000 \cdot 100}{50000} = 6\%$	$\frac{1500 \cdot 100}{50000} = 3,3\%$

ბელა ჩადუნელი

ცხრილი 1

საცალოდ მომზადებული „ლურჯი მარკეტის“ ბალანსი (მლნ ლარი)

	2011 წლის 31 დეკემბერი	2012 წლის 31 დეკემბერი
I. აქტივები		
1. გრძელვადიანი აქტივები:		
➤ არამატერიალური აქტივები (გუდვილი).	5000	3000
➤ მატერიალური აქტივები.	37600	26700
2. მოკლევადიანი აქტივები:		
➤ მარაგები.	2500	2300
➤ დებიტორული დავალიანება.	1500	1200
➤ ფულადი სახსრები და ფულის ექვივალენტები.	5000	3100
➤ დანარჩენი.	—	—
სულ აქტივები	51600	36300
II. პასივები:		
1. საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები:		
➤ სააქციო კაპიტალი.	500	410
➤ სარეზერვო ფონდი.	10000	9500
სულ საკუთარი კაპიტალი	10500	9910
გრძელვადიანი სესხები	20000	10000
სულ გრძელვადიანი სესხები	20000	10000
2. მოკლევადიანი ვალდებულებები:		
➤ სავაჭრო კრედიტული დავალიანება.	9100	8300
➤ მოკლევადიანი სესხები.	12000	8000
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	21100	16300
სულ ვალდებულებები	41100	26300
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	51600	36300

ცხრილი 2

„ლურჯი მარკეტის“ მომგება-ზარალის ანგარიში

№	მაჩვენებლები	2011 წ.	2012 წ.
1	რეალიზაციიდან ამონაგები	50000	45000
2	რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	47000	43500
3	საერთო მოგება (1-2)	3000	1500
4	კომერციული და ადმინისტრაციული ხარჯები	1500	1000
5	საოპერაციო მოგება დაფინანსებამდე (3-4)	1500	500
6	დაფინანსებით მიღებული შემოსავალი	100	200
7	დაფინანსების დანახარჯები	400	200
8	მოგება დაბეგვრამდე (5+6-7)	1200	500
9	მოგების გადასახადი (საქართველოში 15%)	180	75
10	წმინდა მოგება (მოგება გადასახადის გადახდის შემდეგ) (8-9)	1020	425

$$\text{წმინდა მოგების მარჟა} = \frac{1500 \cdot 100}{50000} = 3\% \quad \frac{1500 \cdot 100}{45000} = 1,1\%$$

მომგებიანობის კოეფიციენტებზე ჩვენი კომენტარები ასეთია: საერთო მოგების მარჟა შემცირებულია 6%-დან 3,3%-მდე, ხოლო წმინდა მოგების მარჟა 3%-დან 1,1%-მდე. ეს გამოიწვია წინა წელთან შედარებით პროდუქციის რეალიზაციის შემცირებამ 5000 ლარით (50000-45000). ამის მიზეზი შეიძლება იყო აგრეთვე 2012 წელს „ლურჯი მარკეტში“ ნაკლებად მომგებიანი

აღრიცხვა და აუდიტი

ასორტიმენტის შემოტანა 2011 წელთან შედარებით. თუ ასეთი შემთხვევა პრაქტიკულად აღმოჩნდა, აუდიტორმა პროდუქციის მომგებიანობა სასურველია ასორტიმენტის ჭრილში გაანალიზოს.

ლიკვიდობის კოეფიციენტებიდან ჩვენ გამოვყავით მიმდინარე ლიკვიდობის და სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტები. მათი მნიშვნელობები „ლურჯი მარკეტის“ მაგალითზე ასეთია:

მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი
2011 წ.

$$\frac{(2500 + 1500 + 5000) \cdot 100}{(9100 + 12000)} = 42\%$$

2012 წ.

$$\frac{(2300 + 1200 + 3100) \cdot 100}{(8300 + 8000)} = 40\%$$

სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი
2011 წ.

$$\frac{(1500 + 5000) \cdot 100}{(9100 + 12000)} = 31\%$$

2012 წ.

$$\frac{(1200 + 3100) \cdot 100}{(8300 + 8000)} = 26\%$$

ლიკვიდობის კოეფიციენტებზე ჩვენი კომენტარები ასეთია: მიმდინარე (ანუ მოკლევადიანი) ლიკვიდობის პროცენტი „ლურჯ მარკეტში“ 2012 წელს 2%-ით (42-40) არის შემცირებული. ანუ თუ 2011 წელს მარკეტი თავისი მოკლევადიანი აქტივებით მოკლევადიან ვალდებულებებს 42%-ით ფარავდა, 2012 წელს ფარავს მხოლოდ 40%-ით. საერთოდ ეს მაჩვენებელი სასურველია 100% იყოს. ანუ ობიექტს 100% უნდა შეეძლოს ვალების დაფარვა. მაგრამ მარკეტთან მიმართებაში არც 40%-იანი მაჩვენებელი არ არის პრობლემა, რადგან მაღაზიას მუდმივად, ყოველდღე შემოსდის ფული. ამასთან მთელი რიგი მომწოდებლები მას განვადებით აძლევენ საქონელს.

სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი გვიჩვენებს თუ რამდენად სწრაფად ე. ი. ვადაში შეუძლია ბიზნეს-ობიექტს ვალის დაფარვა. ჩვენს მაგალითზე ეს მაჩვენებელიც შემცირებულია მთელი 5%-ით. არც ეს მაჩვენებელია კარგი; საჭიროა იმის გამოკვლევა, რამ დასწია იგი. აუდიტორმა უნდა შეამოწმოს, რატომ მოხდა მისი დაცემა. იქნებ ეს დებიტორული დავალიანების გაზრდამ გამოიწვია? ჩვენს მაგალითზე იგი პირიქით შემცირებულია 1500 ლარიდან 1200 ლარამდე. იქნებ საქონლის მოწოდების გრაფიკები დაერღვა და ამან გამოიწვია რეალიზაციის შემცირება და ფულის შემოდინება ბიზნეს-ერთეულში? ჩვენს მაგალითზე მართლაც რეალიზაციაც შემცირებულია და ფულის შემოდინებაც. ასეთ შემთხვევაში აუდიტორმა მომწოდებლის მთელი კორესპონდენცია უნდა გააკონტროლოს.

რისკის კოეფიციენტების ჯგუფიდან ვიანგარიშეთ და შევაფასეთ ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი (ნასესხი კაპიტალის შეფარდება საერთო კაპიტალთან). „ლურჯი მარკეტის“ მაგალითზე იგი ტოლია:

$$\text{2011 წელს} \quad \frac{20000 + 21100}{51600} = 79,6\%$$

$$\text{2012 წელს} \quad \frac{10000 + 16300}{36300} = 72,4\%$$

მაშასადამე, „ლურჯ მარკეტში“ 2011 წელს ფულადი სახსრების მთელი საჭიროების 79,6% იფარებოდა ნასესხი სახსრებით, 2012 წელს კი იგი 7,2%-ით შემცირდა. საერთოდ რეკომენდაციის სახით ცნობილია, რომ სასურველია აქტივების 50% დაფინანსდეს საკუთარი სახსრებით, 50% კი – ნასესხი სახსრებით, თუმცა ისიც ცნობილია, რომ ძნელია ლევერიჯის „უსაფრთხო“ დონის დადგენა [1, გვ. 18]. 50%-დან 70%-მდე სასესხო ვალდებულებებიც რუსეთში არ ითვლება შემაშფოთებლად [2, გვ. 244]. მაგრამ მოცემულ მაგალითზე, როცა „ლურჯ მარკეტს“ ამ ორი წლის მანძილზე მოგებაც შეუმცირდა, ჩვენი აზრით, მას გაუჭირდება სესხის პროცენტების გადახდა და შეიძლება მას ამ მიზეზით გაკოტრებაც კი მოუწიოს.

დასკვნის სახით ავლნიშნავთ, რომ ფინანსური კოეფიციენტების შეფასების დროს აუდიტორმა მხედველობაში უნდა მიიღოს თუ აუდიტის ობიექტი რა ბიზნესს ეწევა და იქიდან გამომ-

დინარე შეაფასოს ეს მაჩვენებლები. ერთი და იგივე ფინანსური კოეფიციენტი სხვადასხვა პროფილის ბიზნესში სხვადასხვა დატვირთვას იძენს და მათი შეფასებაც საკმაოდ განსხვავებულია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კენი გარეტი, კოეფიციენტების გამოყენება და ანალიზი აუდიტში, ჟ. „ბუღალტრული აღრიცხვა“, №4, 2011.
2. Питер Этрилл и Эдди Маклейнию Финансы и бухгалтерский учет для неспециалистов, М., 2007.

IS CALCULATION AND ESTIMATION OF FINANCIAL RATIO NECESSARY IN AUDIT?

GELA CHADUNELI
Doctoral Candidate of GTU

Gela Chaduneli's Article "Is Calculation and Estimation of Financial Ratio Necessary in Audit" proofs the necessity of calculation and estimation of financial Ratio by an auditor for final report on entity activity. The Calculation and value of Financial Ratio helps auditor to identify the false accounting as well as the audit section where an extra effort is required

According to conditional entity the financial ratio is calculated and valued in the article.